ევროპული კონვენცია ადმინისტრაციულ საკითხებზე ინფორმაციისა და მტკიცებულებების საზღვარგარეთ მოპოვების შესახებ

ქ. სტრასბურგი, 1978 წლის 15 მარტი

პრეამბულა

ქვემორე ხელისმომწერნი, ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,

ითვალისწინებენ, რომ ევროპის საბჭოს მიზანია მის წევრებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა, რაც განსაკუთრებით დაფუძნებული უნდა იყოს კანონის უზენაესობაზე, ასევე ადამიანის უფლებებსა და ძირითად თავისუფლებებზე;

სწამთ, რომ ადმინისტრაციულ საკითხებში ურთიერთდახმარების შესაბამისი საშუალებების დაფუძნება ხელს შეუწყობს ამ მიზნის მიღწევას;

ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ საკითხებში ინფორმაციისა და მტკიცებულებების მოპოვების გზების ხელშეწყობისა და გაადვილების მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – საერთო დებულებები

მუხლი 1 – კონვენციის მოქმედების სფერო

1. ხელშემკვრელი სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას აღმოუჩინონ ერთმანეთს ურთიერთდახმარება ადმინისტრაციულ საკითხებში, როდესაც მოთხოვნა დახმარებაზე მიღებულია წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესაბამისად.

2. წინამდებარე კონვენცია არ გამოიყენება ფისკალურ ან სისხლისსამართლებრივ საკითხებთან მიმართებაში. თუმცა, თითოეულ სახელმწიფოს, ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ მომდევნო დროს შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით აღნიშნოს, რომ მისდამი მიმართული დახმარების შესახებ მოთხოვნების მიზნით, წინამდებარე კონვენცია იქნება გამოყენებული ფისკალურ საკითხებთან მიმართებაში ან იმ ნებისმიერ დანაშაულზე საქმის წარმოებასთან მიმართებაში, რომელზეც სასჯელი არ ექვემდებარება მისი სასამართლო ხელისუფლების იურისდიქციას დახმარების შესახებ მოთხოვნის დროისათვის. ამ სახელმწიფოს შეუძლია დააზუსტოს განცხადებაში, რომ აღნიშნული დამოკიდებულია ნაცვალგების პრინციპზე.

3. თითოეულ სახელმწიფოს ხელმოწერის, ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირებისას ან ნებისმიერ მომდევნო დროს მისთვის კონვენციის ძალაში შესვლიდან 5 წლის განმავლობაში, შეუძლია ევროპის საბჭოს გენერალური მიდვნის სახელზე მიმართული განცხადებით დააზუსტოს ის ადმინისტრაციული საკითხები, რომლებთან

დაკავშირებითაც ის არ გამოიყენებს წინამდებარე კონვენციას. ნებისმიერ სხვა ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ნაცვალგების პრინციპის გამოყენება.

4. წინამდებარე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების შესაბამისად გაკეთებული განცხადებები ამოქმედდება მაშინ როდესაც კონვენცია ძალაში შევა იმ სახელმწიფოსთვის, რომელმაც გააკეთა განცხადება ან ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის მიერ მათი მიღებიდან სამი თვის შემდეგ. შესაძლებელია მათი სრული ან ნაწილობრივი გამოტანა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადების მეშვეობით. ასეთი გამოტანა ამოქმედდება განცხადების მიღების თარიღიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 2 – პასუხისმგებელი ორგანო

1. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო დანიშნავს ცენტრალური ხელისუფლების ორგანოს, რათა მიიღოს და განახორციელოს ზომები ადმინისტრაციულ საკითხებში დახმარებაზე იმ მოთხოვნებზე, რომლებიც მომდინარეობენ სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოსგან. ფედერალურ სახელმწიფოებს შეუძლიათ ერთზე მეტი პასუხისმგებელი ორგანოს დანიშვნა.

2. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია დანიშნოს სხვა ორგანოებიც, რომლებსაც ექნებათ ივივე ფუნქციები რაც პასუხისმგებელ ორგანოს და განსაზღვროს მათი ტერიტორიული კომპეტენცია. თუმცა, მოთხოვნის გამგზავნ ორგანოს ნებისმიერ შემთხვევაში რჩება უფლება პირდაპირ მიმართოს ცენტრალური ხელისუფლების პასუხისმგებელ ორგანოს.

3. თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს დამატებით შეუძლია დანიშნოს გამგზავნი ორგანო, რათა მოახდინოს მისი ორგანოების მიერ დახმარებაზე მოთხოვნათა და საზღვარგარეთ პასუხისმგენელ ორგანოებისთვის მათი გადაგზავნის ცენტრალიზება.

4. ხსენებული ორგანოები შეიძლება წარმოადგენდნენ სამინისტროების დეპარტამენტებს ან სხვა ოფიციალურ სტრუქტურებს.

5. თითოეული ხელშემკვრელი სახელმწიფო, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით აუწყებს მას წინამდებარე მუხლის დებულებათა შესაბამისად დანიშნული ორგანოების დასახელებასა და მისამართს.

მუხლი 3 – ლეგალიზაციისაგან განთავისუფლება

დახმარებაზე მოთხოვნები და მასთან თანდართული მასალები, რომლებიც გადაიგზავნება წინამდებარე კონვენციის თანახმად არ ექვემდებარება ლეგალიზაციას, აპოსტილს ან ნებისმიერი სხვა ფორმალობას.

მუხლი 4 – ვალდებულება პასუხის გაცემაზე

იმ შემთხვევაში თუ საპირისპირო არ არის მოთხოვნილი წინამდებარე კონვენციით, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელი ორგანო, რომელმაც მიიღო მოთხოვნა დახმარებაზე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები.

მუხლი 5 – მოთხოვნის შემადგენლობა

მოთხოვნა უნდა მოიცავდეს ნებისმიერ აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც ეხება:

ა. ორგანოს, რომლისგანაც მომდინარეობს მოთხოვნა;
ბ. მოთხოვნის შინაარსსა და მიზანს;

გ. როდესაც საჭირო, იმ პირის იდენტიფიკაციისათვის საჭირო სახელს, მოქალაქეობას, მისამართსა და ნებისმიერ სხვა დეტალს, რომელსაც უნდა ეთხოვოს ინფორმაციის მიწოდება ან რომელთანაც არის დაკავშირებული მოთხოვნილი ინფორმაცია ან დოკუმენტი.

მუხლი 6 – მოთხოვნის სრულყოფილება

იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელი ორგანო ჩათვლის, რომ მოთხოვნა არ შეესაბამება წინამდებარე კონვენციის დებულებებს, ის აღნიშნულის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობებს მოთხოვნის გამგზავნ ორგანოს და დააზუსტებს მის შენიშვნებს.

მუხლი 7 – უარი შესრულებაზე

1. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოს, რომელსაც გადაეგზავნა დამხარებაზე მოთხოვნა, შეუძლია უარი განაცხადოს მის შესრულებაზე, თუ მიიჩნევს, რომ:

ა. საკითხი, რომელთანაც დაკავშირებულია მოთხოვნა არ წარმოადგენს ადმინისტრაციული ხასიათის საკითხს, როგორც ეს განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის პირველ მუხლში;
ბ. მოთხოვნის შესრულებას შეუძლია ჩაერიოს ამ სახელმწიფოს სუვერენიტეტში, უსაფრთხოებაში, საჯარო პოლიტიკასა ან სხვა ფუძემდებლურ ინტერესებში;
გ. შესრულებამ შესაძლოა დაარღვიოს იმ პირის ძირითადი უფლებები და მნიშვნელოვანი ინტერესები, ვისთანაც არის დაკავშირებული მოთხოვნილი ინფორმაცია ან თუ მოთხოვნა ეხება კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომელიც ვერ იქნება გამჟღავნებული;
დ. თუ მისი ეროვნული კანონმდებლობა ან ჩვეულება არ უშვებს მოთხოვნილ დახმარებას.

მუხლი 8 – ღირებულება

მე-18 და 21-ე მუხლების დებულებათა შესაბამისად, დახმარებაზე მოთხოვნა არ წარმოშობს ნებისმიერი ხარჯების ან ღირებულების ანაზღაურებას იმ მომსახურეობასთან დაკავშირებით, რაც გაწეული იქნა მოთხოვნის მიმღების სახელმწიფოს მიერ.

მუხლი 9 – ენა

1. დამხარებაზე მოთხოვნა და მასთან თანდართული მასალები შედგენილ იქნება მოთხოვნის მიმღების სახელმწიფოს ოფიციალურ ენებზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე ან მასთან იქნება თანდართული თარგმანი ამ ენაზე.

2. თუმცა, თითოეული პასუხისმგებელი ორგანო მიიღებს დამხარებაზე მოთხოვნას, როდესაც ისინი შედგენილია ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალური ენაზე ან მასთან თანდართულია თარგმანი ერთ-ერთ ამ ენაზე, გარდა იმ შემთხვევისა თუ იგი წინააღმდეგია ამისა კონკრეტულ შემთხვევაში.

3. პასუხი შედგენილ იქნება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს, ევროპის საბჭოს ან მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ოფიციალურ ენაზე ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე.

მუხლი 10 – ვადები და პასუხის გადაგზავნა

1. პასუხი დახმარების მოთხოვნაზე უნდა გადაიგზავნოს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში. თუმცა, თუ პასუხის მომზადება საჭიროებს დიდ დროს, მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელი ორგანო ამის თაობაზე აცნობებს მოთხოვნის გამგზავს ორგანოს და ამასთან, თუ შესაძლებელია აღნიშნავს პასუხის გადაგზავნის სავარაუდო თარიღს.

2. დამხარების მოთხოვნაზე პასუხი გადაეგზავნება მოთხოვნის გამგზავნ ორგანოს.

მუხლი 11 – გადაგზავნა დიპლომატიური ან საკონსულო არხებით

თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია გამოიყენოს დიპლომატიური ან საკონსულო არხები სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებელი ორგანოსთვის დახმარებაზე მოთხოვნის გადასაგზავნად.

მუხლი 12 – სხვა საერთაშორისო შეთანხმებები და პირობები

წინამდებარე კონვენციაში არაფერი შეუშლის ხელს არსებულ და მომავალ საერთაშორისო შეთანხმებებსა და პრაქტიკას ან სხვა პირობებს ხელშემკვრელ სახელმწიფოეს შორის, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე კონვენციით მოწესრიგებულ საკითხებთან.
თავი II მოთხოვნები ინფორმაციაზე, დოკუმეტებზე და დაზუსტებაზე

მუხლი 13 – მოთხოვნები ინფორმაციაზე კანონის, წესებისა და ჩვეულების თაობაზე

ხელშემკვრელი სახელმწიფოები თანხმდებიან, ერთმანეთს მიაწოდონ ინფორმაცია ადმინისტრაციულ საკითხებში მათი კანონმდებლობის, წესებისა და ჩვეულების თაობაზე, მაშინ როდესაც მოთხოვნა გაკეთებულია მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ორგანოს მიერ ადმინისტრაციული მიზნით.

მუხლი 14 – მოთხოვნა ფაქტობრივ ინფორმაციაზე და დოკუემტებზე

ხელშემკვრელი სახელმწიფოები თანხმდებიან ერთმანეთს მიაწოდონ მათ ხელთ არსებული ფაქტობრივი ინფორმაცია ადმინისტრაციულ საკითხებზე და გამოსცენ დამოწმებული ასლები, ჩვეულებრივი ასლები და ამონაწერები ადმინისტრაციული დოკუმენტებიდან, მაშინ როდესაც მოთხოვნა გაკეთებულია მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ორგანოს მიერ ადმინისტრაციული მიზნით.

მუხლი 15 – მოთხოვნა დაზუსტებაზე

როდესაც მოთხოვნა გაკეთებულია ადმინისტრაციული მიზნით მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს ორგანოს მიერ, ხელშემკვრელი სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ შეასრულონ იგი დაზუსტებით ან ნებისმიერი სხვა პროცედურით, რომელიც შესაბამისობაშია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონით ან ჩვეულებით მითითებულ ან ნებადართულ ფორმასთან, მაგრამ იძულების ძალის გამოუყენებლად.

მუხლი 16 – მოთხოვნილი ინფორმაციის სპეციფიური მიზანი

1. მოთხოვნის მიმღების სახელმწიფოს პასუხსიმგებელი ორგანოს მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნის გამგზავნ ორგანოს არა აქვს უფლება გამოიყენოს წინამდებარე კონვენციის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია ან დოკუმენტები სხვა მიზნებისთვის, გარდა დახმარებაზე მოთხოვნაში ჩამოყალიბებულისა.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, ნებისმიერ დროს, შეუძლია გააკეთოს დათქმა წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის მიმართ, რამდენადაც მას ამის შესრულების უფლებას არ აძლევს მისი კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ჩანაწერების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობის თაობაზე.

3. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოს შეუძლია, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში, უარი განაცხადოს ნებისმიერი იმ მოთხოვნის შესრულებაზე, რომელიც მომდინარეობს იმ სახელმწიფოს ორგანისგან, რომელმაც გააკეთა ასეთი დათქმა.

მუხლი 17 – პასუხის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო

1. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოს, რომელმაც მიიღო მოთხოვნა შეუძლია თვითონ მოამზადოს პასუხი, თუ ის კომპეტენტურია, ან საპასუხოდ გადაუგზავნოს ამაზე კომპეტენტურ ორგანოს.

2. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოს, შესაბამის შემთხვევებში ან ადმინისტრაციული ორგანიზების მიზეზების გამო შეუძლია, მოთხოვნის გამგზავნი ორგანოს თანხმობით, გადაუგზავნოს მე-13 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა კანონის თაობაზე ინფორმაციის შესახებ კერძო ორგანიზაციის ან კვალიფიცირებულ იურისტს, პაუსხის მომზადების მიზნით.

მუხლი 18 – სპეციალური ხარჯები

1. ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია მოთხოვნის შესრულებაში ექსპერტებისა და თარჯიმნების დახმარებით დაფარულ იქნება მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ.

2. იგივე წესი გამოიყენება, როდესაც პასუხი მე-13 მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციაზე კანონის შესახებ შემუშავებულია, მოთხოვნის გამგზავნი ორგანოს თანხმობით, კერძო ორგანიზაციის ან კვალიფიცირებული იურისტის მიერ.

თავი III – მოთხოვნის წერილები ადმინისტრაციულ საკითხებზე

მუხლი 19 – მტკიცებულებების მოპოვება

1. ადმინისტრაციულ ტრიბუნალს ან ნებისმიერ სხვა ორგანოს, რომელიც ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს ადმინისტრაციულ საკითხებზე რომელიმე ხელშემკვრელ სახელმწიფოში, ამ სახელმწიფოს კანონმდებლობის შესაბამისად, მოთხოვნის წერილის მეშვეობით შეუძლია მოთხოვოს სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს პასუხისმგებელ ორგანოს, ამ ორგანოს მეშვეობით მოიპოვოს მტკიცებულებები ადმინისტრაციულ საკითხებში იმ ფაგრლებში, რა ფარგლებშიც ასეთი მტკიცებულებების მოპოვების პროცედურა შეიძლება იქნას გამოყენებული დაკავშირებრულ საქმეზე მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში.

2. მოთხოვნის წერილი არ უნდა იქნას გამოყენებული იმ მტკიცებულებების მოსაპოვებლად, რომლის გამოყენებაც არ არის განზრახული უკვე დაწყებულ ან დაგეგმილ სასამართლო საქმის წარმოებაში.

3. მოთხოვნის წერილის შესრულება შესაძლებელია უარყოფილ იქნას იმდენად, რამდენადაც მოთხოვნის მიმღებ სახელმწიფოში, წერილის შესრულება არ შედის ადმინისტრაციული ტრიბუნალის ან იმ ნებისმიერი სხვა ორგანოს ფუნქციებში, რომელიც ახორციელებს სასამართლო ფუნქციებს ადმინისტრაციულ საკითხებზე.

მუხლი 20 – გამოსაყენებელი სამართალი და სპეციალური ფორმა

1. ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია მოთხოვნის წერილის შესრულებაზე გამოიყენებს მის ეროვნულ კანონმდებლობას, როგორც მეთოდსა და პროცედურებს, რომლებიც უნდა იქნას დაცული და იძულების გზების გამოსაუენებლად.

2. თუმცა, შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნას მოთხოვნის გამგზავნი ორგანოს სურვილი და პროცედურამ გაითვალისწინოს სპეციალური ფორმა, თუ ასეთი ფორმა არ ეწინააღმდეგება მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობასა და ჩვეულებას, განსაკუთრებით კი

დაზუსტების ჩატარების თარიღისა და ადგილის მონაწილე მხარეთათვის შეტყობინებასთან დაკავშირებით.

3. მოთხოვნის წერილის შესრულებისას მონაწილე პირს შეუძლია უარი განაცხადოს ჩვენების მიცემაზე, რამდენადაც მას გააჩნია პრივილეგია ან მოვალეობა უარი თქვას მტკიცებულებების მიცემაზე:

ა. მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით; ან
ბ. მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს კანონმდებლობით და პრივილეგია და მოვალეობა დაზუსტებულია წერილში, ან მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს ორგანოსთვის აღნიშნული სხვაგვარად იქნა დამოწმებული მოთხოვნის გამგზავნი ორგანოს მიერ.

მუხლი 21 – სპეციალური ხარჯები

მოთხოვნის წერილების შესრულებაში დამხმარე ექსპერთა და თარჯიმანთა ხარჯები დაიფარება მოთხოვნის გამგზავნი სახელმწიფოს მიერ. იგივე გამოიყენება, როდესაც მოთხოვნა პროცედურის სპეციალური ფორმის გამოყენების თაობაზე იწვევს სპეციალურ ხარჯებს.

მუხლი 22 – მტკიცებულების მოპოვება დიპლომატიური ან საკონსულო აგენტების მიერ

წინამდებარე თავის დებულებები არ ზღუდავენ ხელშემკვრელი სახელმწიფოების უფლებას მოიპოვონ მტკიცებულებანი პირდაპირ მათი დიპლომატიური და საკონსულო აგენტების მიერ, იმის გათვალისწინებით, რომ არ არსებობს იმ სახელმწიფოს წინააღმდეგობა, რომლის ტერიტორიაზეც მტკიცებულება უნდა იქნას მოპოვებული.

თავი IV – დასკვნითი დებულებები

მუხლი 23 – კონვენციის ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოებისთვის. იგი ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტები დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

2. კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან ვადას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ მესამე ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან.

3. იმ ნებისმიერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც მოგვიანებით ახდენს კონვენციის რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას, კონვენცია ძალაში შედის იმ თვის პირველ დღეს, რომელიც მოსდევს სამთვიან ვადას რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების შესახებ ინსტრუმენტის დეპონირების თარიღიდან.

მუხლი 24 – კონვენციის გადასინჯვა

ნებისმიერი ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნით ან კონვენციის ძალაში შესვლიდან სამი წლის გასვლის შემდეგ, ხელშემკვრელი სახელმწიფოები დაიწყებენ მრავალმხრივ კონსულტაციებს, სადაც ევროპის საბჭოს ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია იქნას წარმოდგენილი დამკვირვებლით, რათა შეისწავლონ მისი გამოყენება და ასევე მისი გადასინჯვის მიზანშეწონილობა ან რომელიმე დებულების გაფართოება. ამ კონსულტაციებს ადგილი ექნება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ მოწვეული შეხვედრის დროს.

მუხლი 25 – ევროპის საბჭოს არაწევრი სახელმწიფოს მიერთება

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს მიცემულ ხმათა ორი მესამედის უმრავლესობით, მათ შორის ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ერთსულოვნებით მიღებული გადაწყვეტილებით შეუძლია მისაერთებლად მოიწვიოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო.

2. ასეთი მიერთება განხორციელდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირების გზით და ძალაში შევა დეპონირებიდან სამი თვის შემდეგ.

მუხლი 26 – კონვენციის ტერიტორიული მოქმედება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერისას, ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპობირებისას შეუძლია დააზუსტოს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებზეც გამოიყენება წინამდებარე კონვენცია.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირებისას ან ნებისმიერ მომდევნო დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით შეუძლია განავრცოს წინამდებარე კონვენციის მოქმედება განცხადებაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიასა და ტერიტორიებზე და რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზე ის არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც ის უფლებამოსილია იკისროს ვალდებულებანი.

3. წინამორბედი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი განცხადება შეიძლება იქნას გამოტანილი. ასეთი გამოტანა ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ გამოტანის შესახებ განცხადების მიღებიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 27 – დათქმები კონვენციაზე

1. წინამდებარე კონვენციის დებულებები არ ექვემდებარებიან არანაირ დათქმებს გარდა მე-16 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრულისა.

2. ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელიც იყენებს მე-16 მუხლის მეორე პუნქტში ჩამოყალიბებულ დათქმას შეუძლია მისი გამოტანა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული განცხადებით, რომელიც ძალაში შევა მისი მიღების დღიდან.

მუხლი 28 – კონვენციის დენონსირება

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რამდენადაც ეს მას ეხება, შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე მიმართული შეტყობინებით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ. თუმცა, წინამადებარე კონვენცია გააგრძელებს მოქმედებას იმ მოთხოვნებთან მიმართებაში, რომლებიც მიღებულ იქნა დენონსირების ძალაში შესვლამდე.

მუხლი 29 – კონვენციის დეპოზიტარის ფუნქციები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი შეატყობინებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა წინამდებარე კონვენციას:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების შესახებ ინსტრუმენტის ნებისმიერი დეპონირების შესახებ;

გ. 23-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების დებულებათა შესაბამისად, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

დ. პირველი მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე პუნქტების დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;

ე. მეორე მუხლის მეხუთე პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;

ვ. მე-16 მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;

ზ. 26-ე მუხლის მეორე და მესამე პუნქტების დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი განცხადების თაობაზე;

თ. 27-ე მუხლის მეორე პუნქტის დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი დათქმის გამოტანის შესახებ;

ი. 28-ე მუხლის პირველი პუნქტის დებულებათა შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეტყობინების თაობაზე.

რის დასტურადაც, შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვილმა ქვემორე ხელისმომწერებმა, ხელი მოვაწერეთ წინამდებარე კონვენციას.

შესრულებულია ქ. სტრასბურგში, 1978 წლის მარტის თვის მეთხუთმეტე დღეს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, რომელთაგან ორივე თანაბრად ავთენტურია, ერთ პირად, რომელიც დეპონირებულ იქნება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.